

პრესრელიზი

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი ბიზნეს დაჯილდოვების გამარჯვებული გახდა

22 ოქტომბერს, მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსისა“ და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის კომპანია „გორბის“ ორგანიზებით, ტრადიციული ბიზნეს-რეიტინგის რიგით მე-15 საიუბილეო ცერემონიალი გაიმართა. კომპანია „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ როგორც ერთ ერთ გამარჯვებულ ბიზნესჯგუფს ნომინაცია „ - ახალი სამუშაო ადგილები, ახალი ტექნოლოგიები,საინვესტიციო მიმზიდველობა“ გადაეცა. პროექტის მიზანს ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, ბიზნესს,ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დიალოგის მხარდაჭერა, ქართული ბიზნესის მიმართ მსოფლიო ბიზნეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა წარმოადგენს.ტრადიციულ XV ბიზნეს რეიტინგის საზეიმო გალა ღონისძიებას სამინისტროების, მერიის, მთავრობის,საელჩოების, სავაჭრო პალატის, მედიის წარმომადგენლები, წინა წლის გამარჯვებულნი და ეკონომიკის ექსპერტები ესწრებოდნენ.

კომპანია GIG- ი , ასევე კიდევ ერთი ბიზნეს დაჯილდოვების გამარჯვებული გახდა.,,ოქროს კატალოგის“ მიერ , ჩატარებული კვლევებისა და გამოკითხვის შედეგად საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს ჯილდო „ქართული ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“გადაეცა.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

